Anadolu Efes Code of Conduct for Suppliers / „ანადოლუ ეფეს“-ის მიმწოდებლების ქცევის კოდექსი

Contents / სარჩევი

1 INTRODUCTION/ შესავალი 3
2 HUMAN RIGHTS PRINCIPLES/ ადამიანის უფლებების პრინციპები 3
2.1 Discrimination and Harassment/ დისკრიმინაცია და შევიწროება 4
2.2 Child Labor/ ბავშვთა შრომა 4
2.3 Forced or Compulsory Labor/ იძულებითი ან სავალდებულო შრომა 4
2.4 Working Hours and Wages/ სამუშაო საათები და ხელფასი 5
2.5 Freedom of Association and Collective Bargaining/ პროფკავშირების შექმნის და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების თავისუფლება 5
3 HEALTH AND SAFETY/ შრომის და უსაფრთხოების დაცვა 5
4 ENVIRONMENTAL STANDARDS/ გარემოსდაცვითი სტანდარტები 5
4.1 Waste, Resource Consumption and Pollution Reduction/ ნარჩენების, რესურსების მოხმარების და დაბინძურების დონის შემცირება 6
4.2 Environmental Management System/ გარემოსდაცვითი მართვის სისტემა 6
5 BUSINESS INTEGRITY/კეთილსინდისიერება საქმიანობაში 6
5.1 Ethical and Compliant Business Conduct/ საქმიანობის ეთიკური და შესაბამისი წარმოება 6
5.2 Conflicts of Interest, Gifts, Entertainment and Hospitality/ ინტერესთა კონფლიქტი, საჩუქრები, გართობა და მასპინძლობა 7
5.3 Anti-Bribery and Anti-Corruption/ მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლა 7
5.4 Business and Financial Records/ საქმიანი და ფინანსური დოკუმენტაცია 7
5.5 Confidentiality/ კონფიდენციალურობა 8
6 DEMONSTRATION OF COMPLIANCE/ შესაბამისობის დადასტურება 8
7 RAISING CONCERNS/ შეშფოთებების გამოხატვა 8
8 CONTACT and FURTHER INFORMATION/ საკონტაქტო და სხვა ინფორმაცია 9
9 VERSION and REVISION DETAILS/ მონაცემები ვერსიის და გადახედვის შესახებ 9
9.1 Version 3/ ვერსია 3 9

1 INTRODUCTION	**1 შესავალი**
Anadolu Efes is committed to making a positive contribution to the society and the environment by developing and implementing responsible business practices within its supply chain. We value our business relations with our suppliers and other business partners. We treat our business partners in the same way we expect to be treated.	„ანადოლუ ეფეს“-ის მიზანია მიწოდების ჯაჭვში პასუხისმგებლიანი საქმიანი პრაქტიკის შემუშავებითა და დანერგვით დადებითი წვლილი შეიტანოს საზოგადოებასა და გარემოში. ჩვენ ვაფასებთ საქმიან ურთიერთობებს ჩვენს მომწოდებლებთან და სხვა ბიზნეს პარტნიორებთან. ჩვენს ბიზნეს პარტნიორებს ვეპყრობით ისე, როგორც გვსურს ჩვენ გვეპყრობოდნენ.
We expect all our suppliers to help us to fulfill this commitment by supporting and respecting our values and principles in their business relations with us as well as with their own business partners.	იმედი გვაქვს ჩვენი ყველა მომწოდებელი დაგვეხმარება ამ ვალდებულების შესრულებაში ჩვენი ღირებულებებისა და პრინციპების მხარდაჭერითა და პატივისცემით საქმიან ურთიერთობებში ჩვენთან და თავიანთ ბიზნეს პარტნიორებთან.
This Code of Conduct for Suppliers (the “Supplier Code”) defines the minimum requirements that Anadolu Efes suppliers are required to adhere to. This Supplier Code is an extension of Anadolu Efes Code of Business Conduct and Ethics which is accessible at https://www.anadoluefes.com/Upload/Docs/AEFES_CodeOfBizConductEthicsAnnex-1.pdf	მიმწოდებლების ქცევის კოდექსი („მიმწოდებლის კოდექსი“) განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დაიცვან „ანადოლუ ეფეს“-ის მიმწოდებლებმა. მომწოდებლების კოდექსი წარმოადგენს „ანადოლუ ეფეს“-ის ბიზნეს ქცევისა და ეთიკის კოდექსის დამატებას, რომელიც წარმოდგენილია შემდეგ ბმულზე: https://www.anadoluefes.com/Upload/Docs/AEFES_CodeOfBizConductEthicsAnnex-1.pdf
This Supplier Code applies to all suppliers of Anadolu Efes who produce materials or provide services for Anadolu Efes. All Anadolu Efes suppliers are required to adhere to the principles and standards set in this Supplier Code and comply with national laws and regulations.	მიმწოდებლის კოდექსი ვრცელდება „ანადოლუ ეფეს“-ის ყველა მიმწოდებელზე, რომლებიც აწარმოებენ მასალებს ან მომსახურებებს უწევენ „ანადოლუ ეფეს“-ს. „ანადოლუ ეფეს“-ის ყველა მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას მიმწოდებლის

	კოდექსში განსაზღვრული პრინციპები და სტანდარტები და დაიცვას ეროვნული კანონმდებლობა და რეგულაციები.
2 HUMAN RIGHTS PRINCIPLES	**2 ადამიანის უფლებების პრინციპები**
Anadolu Efes respects internationally proclaimed human rights, related International Labour Organisation standards and United Nations Universal Declaration of Human Rights. Anadolu Efes is a participant in United Nations Global Compact.	„ანადოლუ ეფეს“-ი პატივს სცემს საერთაშორისო დონეზე დეკლარირებულ ადამიანის უფლებებს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის სტანდარტებს და გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას. „ანადოლუ ეფეს“ არის გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილე.
We encourage our suppliers to embrace these international standards and we expect them to respect the human rights of their employees in the workplace, and to promote human rights within their value chain. Those principles designed to cover employees also apply to contract workers and any workers without a formal employment contract.	ჩვენს მომწოდებლებს მოვუწოდებთ, მიიღონ აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები და მოვითხოვთ პატივი სცენ თავიანთი თანამშრომლების უფლებებს სამუშაო ადგილზე და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვას მათი ღირებულების ჯაჭვში. პრინციპები, რომლებიც შექმნილია თანამშრომლებისთვის, ასევე ვრცელდება კონტრაქტით დასაქმებულებზე და ნებისმიერ თანამშრომელზე, რომელსაც არ აქვს ოფიციალური შრომითი ხელშეკრულება.
2.1 Discrimination and Harassment	**2.1 დისკრიმინაცია და შევიწროება**
Suppliers must create an inclusive work environment free of discrimination with respect to gender, marital status, age, religion, race, political opinion, social or economic status, language, ethnical origin, nationality, sexual orientation or disability. All forms of abuse conduct and physical, verbal and written harassment should be prohibited by the suppliers.	მიმწოდებლებმა უნდა შექმნან ინკლუზიური სამუშაო გარემო, სადაც აკრძალულია სქესის, ოჯახური მდგომარეობის, ასაკის, რელიგიის, რასის, პოლიტიკური შეხედულებების, სოციალური ან ეკონომიკური სტატუსის, ენის, ეთნიკური კუთვნილების, ეროვნების, სექსუალური ორიენტაციის ან შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით დისკრიმინაცია.

	მიმწოდებლები ვალდებული არიან არ დაუშვან რაიმე ფორმის ძალადობა და ფიზიკური, ვერბალური და წერილობითი შევიწროება.
2.2 Child Labor Child labor refers to work that is mentally, physically, socially or morally harmful to children; or work that interferes with their schooling. Suppliers must not engage in or benefit from the use of child labor. They must comply with local laws and regulations and standards of International Labor Organization.	**2.2 ბავშვთა შრომა** ბავშვთა შრომა არის სამუშაო, რომელიც გონებრივ, ფიზიკურ, სოციალურ ან მორალურ ზიანს აყენებს ბავშვებს; ან სამუშაო, რომელიც ხელს უშლის მათ სწავლას სკოლაში. მიმწოდებლებმა არ უნდა გამოიყენონ ან არ უნდა ისარგებლონ ბავშვთა შრომით. ისინი ვალდებული არიან დაიცვან ადგილობრივი კანონები, რეგულაციები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტები.
2.3 Forced or Compulsory Labor Suppliers must not use or participate in any form of forced or compulsory labor; all work must be conducted on a voluntary basis.	**2.3 იძულებითი და სავალდებულო შრომა** მიმწოდებლებმა არ უნდა გამოიყენონ ან მონაწილეობა მიიღონ რაიმე სახის იძულებით ან სავალდებულო შრომაში; ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს ნებაყოფლობით.
2.4 Working Hours and Wages Suppliers must provide employees with fair wages and benefits that comply at least with minimum wage legislation and other applicable laws on wage and working time.	**2.4 სამუშაო საათები და ხელფასი** მიმწოდებლებმა თანამშრომლებს უნდა გადაუხადონ სამართლიანი ხელფასი და უზრუნველყონ სხვა დახმარებები, რომლებიც მინიმუმ შეესაბამება მინიმალური ხელფასის შესახებ კანონმდებლობას და სხვა მოქმედ კანონებს ხელფასებისა და სამუშაო დროის შესახებ.

2.5 Freedom of Association and Collective Bargaining

Suppliers must recognize the rights of freedom of association and collective bargaining under applicable law.

2.5 პროფკავშირების შექმნის და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების თავისუფლება

მიმწოდებლები ვალდებული არიან აღიარონ პროფკავშირებში გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად..

3 HEALTH AND SAFETY

Suppliers are expected to provide a safe and healthy work environment for their employees. At a minimum, suppliers' policies and procedures for health and safety must meet legal requirements. Wherever these do not exist, the supplier must ensure that risks of accidents, injury, and exposure to health risks are minimised, adopting the prevailing knowledge of the industry.

3 შრომის და უსაფრთხოების დაცვა

მიმწოდებლები ვალდებული არიან თავიანთი თანამშრომლებისთვის უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო. მიმწოდებლების შრომის და უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა და პროცედურები მინიმუმ უნდა აკმაყოფილებდეს საკანონმდებლო მოთხოვნებს. ასეთი პოლიტიკის ან პროცედურების არარსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს უბედური შემთხვევების, ტრავმების და ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკების მინიმუმამდე შემცირება ამ დარგის შესახებ არსებული ცოდნის გამოყენებით.

4 ENVIRONMENTAL STANDARDS

We expect our suppliers to comply with all relevant local environmental legislation and conduct business in a way which protects and preserves the environment. Anadolu Efes requires suppliers to focus on the following areas:

4 გარემოსდაცვითი სტანდარტები

მოვითხოვთ, რომ ჩვენმა მომწოდებლებმა დაიცვან ყველა შესაბამისი ადგილობრივი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და აწარმოონ საქმიანობა იმგვარად, რომ უზრუნველყონ გარემოს დაცვა და შენარჩუნება. „ანადოლუ ეფეს“-ი მოითხოვს, რომ მიმწოდებლებმა ფოკუსირება მოახდინონ შემდეგ სფეროებზე:

4.1 Waste, Resource Consumption and Pollution Reduction

Suppliers must ensure that they optimise the consumption of natural resources, and implement and demonstrate sound measures to prevent pollution; reduce the use of water; reduce the energy and carbon footprint; re-use and recycle packaging and reduce waste to landfill and post-consumer waste.

4.1 ნარჩენების, რესურსების მოხმარების და დაბინძურების დონის შემცირება

მიმწოდებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ბუნებრივი რესურსების მოხმარების ოპტიმიზაცია, დანერგონ და მიიღონ გონივრული ზომები დაბინძურების პრევენციისთვის; შეამცირონ წყლის მოხმარება; შეამცირონ ენერგომოხმარების მოცულობა და სასათბურე აირების გამონაბოლქვები ატმოსფეროში; ხელახლა გამოიყენონ და გადაამუშავონ შეფუთვა და შეამცირონ ნარჩენები ნაგავსაყრელზე და პროდუქტების და ნაწარმების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები და დაბინძურება.

4.2 Environmental Management System

Suppliers should have policies, procedures and relevant environmental management systems to identify, control and mitigate significant environmental impact.

4.2 გარემოსდაცვითი მართვის სისტემა

მიმწოდებლებმა უნდა დანერგონ პოლიტიკა, პროცედურები და შესაბამისი გარემოსდაცვითი მართვის სისტემები გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების დადგენის, კონტროლისა და შერბილების მიზნით..

5 BUSINESS INTEGRITY

High standards of ethical behaviour is fundamental to Anadolu Efes. We have our own Code of Business Conduct and Ethics, which applies to all employees across the group as well as to third parties acting on behalf of Anadolu Efes. Anadolu Efes Code of Business Conduct and Ethics set the minimum standards of behaviour and conduct expected. We want to extend these standards throughout our supply chain by including business ethics in this Supplier Code.

5 კეთილსინდისიერება საქმიანობაში

ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტები „ანადოლუ ეფეს“-ის ძირითადი პრინციპებია. ჩვენ გვაქვს საკუთარი ბიზნეს ქცევისა და ეთიკის კოდექსი, რომელიც ვრცელდება ჯგუფის ყველა თანამშრომელზე, ასევე „ანადოლუ ეფეს“-ის სახელით მოქმედ მესამე პირებზე. „ანადოლუ ეფეს“-ის ბიზნეს ქცევისა და ეთიკის კოდექსი ადგენს მოსალოდნელი ქცევისა და წარმოების მინიმალურ სტანდარტებს. ჩვენ გვსურს აღნიშნული სტანდარტები ჩვენს მთლიან მიწოდების

ჯაჭვში გავრცელდეს წინამდებარე მიმწოდებლის კოდექსში ბიზნეს ეთიკის პრინციპების შეტანით.

5.1 Ethical and Compliant Business Conduct

Suppliers must act ethically and with integrity at all times and comply with applicable laws and regulations. Supplier must commit to the principles of lawful and free competition and abide by relevant applicable antitrust, consumer protection and competition laws.

5.1 საქმიანობის ეთიკური და შესაბამისი წარმოება

მიმწოდებლები ვალდებული არიან ნებისმიერ შემთხვევაში იმოქმედონ ეთიკურად და კეთილსინდისიერად და დაიცვან მოქმედი კანონები და რეგულაციები. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას კანონიერი და თავისუფალი კონკურენციის პრინციპები და დაიცვას შესაბამისი ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა დაცვისა და კონკურენციის შესახებ კანონები.

5.2 Conflicts of Interest, Gifts, Entertainment and Hospitality

Suppliers must not engage in any improper payments, make or receive direct or indirect offers, or solicitations to our employees. Suppliers should avoid situations where a conflict of interest may occur, and must immediately disclose to Anadolu Efes any conflict of interest that do arise. Anadolu Efes does not accept gifts or offers of hospitality and entertainment from current or prospective suppliers.

5.2 ინტერესთა კონფლიქტი, საჩუქრები, გართობა და მასპინძლობა

მიმწოდებლებმა არ უნდა განახორციელონ არამართლზომიერი გადახდები, გააკეთონ ან მიიღონ პირდაპირი ან არაპირდაპირი შეთავაზებები ან წინადადებები ჩვენი თანამშრომლების მიმართ. მიმწოდებლებმა თავი უნდა აარიდონ სიტუაციებს, სადაც შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი და დაუყოვნებლივ აცნობონ „ანადოლუ ეფეს“-ს ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესახებ. „ანადოლუ ეფეს“-ი არ იღებს საჩუქრებს ან მასპინძლობის ან გართობის წინადადებებს მოქმედი თუ პოტენციური მიმწოდებლებისგან.

5.3 Anti-Bribery and Anti-Corruption

Anadolu Efes is fully committed to eradicate

5.3 მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბძოლა

„ანადოლუ ეფეს“-ი დაინტერესებულია და

corruption from all business transactions. Our suppliers must not engage in corruption such as bribery or any form of improper or unlawful payment under any circumstances including bribery, extortion or and money laundering.

ყველა ზომას იღებს კორუფციის აღმოსაფხვრელად ყველა ბიზნეს ტრანზაქციაში. ჩვენმა მიმწოდებლებმა არცერთ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ მონაწილეობა კორუფციაში, როგორიცაა მექრთამეობა ან ნებისმიერი სახის არამართლზომიერი ან უკანონო გადახდა, მათ შორის მექრთამეობა, გამოძალვა ან ფულის გათეთრება.

5.4 Business and Financial Records

Suppliers are expected to maintain an honest and transparent attitude in presenting their business and financial capabilities and should never provide false or altered business and financial reports or statements. Suppliers must keep accurate and complete books and records of all matters related to the business with Anadolu Efes.

5.4 საქმიანი და ფინანსური დოკუმენტაცია

მიმწოდებლებს მოეთხოვებათ პატიოსნად და გამჭვირვალედ წარმოადგინონ თავიანთი საქმიანი და ფინანსური შესაძლებლობები და არასდროს წარმოადგინონ ყალბი ან გადაკეთებული საქმიანი და ფინანსური ანგარიშები ან ანგარიშგებები. მიმწოდებლები ვალდებული არიან აწარმოონ ზუსტი და სრული ბუღალტრული წიგნები და ჩანაწერები „ანადოლუ ეფეს“-თან საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესახებ.

5.5 Confidentiality

We expect our suppliers to safeguard Anadolu Efes confidential and personal information, to use it only for intended purpose and not to share this information without our authorization. We also expect them to meet the requirements of applicable data privacy laws and regulations.

5.5 კონფიდენციალურობა

მომწოდებლებისგან მოვითხოვთ დაიცვან „ანადოლუ ეფეს“-ის კონფიდენციალური და პერსონალური ინფორმაცია, ასეთი ინფორმაცია გამოიყენონ მხოლოდ დანიშნულებისამებრ და არ გაამჟღავნონ ჩვენი ნებართვის გარეშე. ასევე მოვითხოვთ, რომ დაიცვან მონაცემთა კონფიდენციალურობის შესახებ მოქმედი კანონებისა და რეგულაციების მოთხოვნები.

6 DEMONSTRATION OF COMPLIANCE

Acknowledgement of this Supplier Code is a pre-requisite in every Anadolu Efes contract for supply. Through the signature of the contract, the supplier commits that its operations are subject to the provisions contained in this Supplier Code.

Suppliers must be able to demonstrate compliance with the Supplier Code at the request and to the satisfaction of Anadolu Efes. If Anadolu Efes receives a reasonable suspicion that the supplier has not complied the provisions of this Supplier Code, Anadolu Efes has the right to terminate or restrict business relation with that supplier.

6 შესაბამისობის დადასტურება

წინამდებარე მიმწოდებლის კოდექსის აღიარება წარმოადგენს „ანადოლუ ეფეს“-ის მიწოდების ყველა კონტრაქტის წინაპირობას. კონტრაქტის ხელმოწერით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მისი საქმიანობა დარეგულირდება წინამდებარე მიმწოდებლის კოდექსში მითითებული დებულებებით.

მიმწოდებლებმა უნდა შეძლონ მიმწოდებლის კოდექსთან შესაბამისობის დადასტურება „ანადოლუ ეფეს“-ის მოთხოვნით და მისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით. თუ „ანადოლუ ეფეს“-ს გაუჩნდება დასაბუთებული ეჭვი, რომ მიმწოდებელმა არ შეასრულა წინამდებარე მიმწოდებლის კოდექსის დებულებები, „ანადოლუ ეფეს“-ს უფლება აქვს შეწყვიტოს ან შეზღუდოს საქმიანი ურთიერთობა ამ მიმწოდებელთან..

7 RAISING CONCERNS

We expect our suppliers to raise their concerns, report any gaps or potential violation of this Supplier Code (i) to their contact in Anadolu Efes or (ii) to Group Ethics Officer (at +90 216 578 80 54 or e-mail to Groupethics@anadoluefes.com).

Alternatively, suppliers may use communication channels listed on https://www.anadoluefes.com/Upload/Docs/CommunicationChannelsENG.pdf. Those communication channels are managed by an independent third party and they are available for

7 შეშფოთებების გამოხატვა

მოვითხოვთ ჩვენმა მომწოდებლებმა გამოთქვან თავიანთი შეშფოთებები, წინამდებარე მიმმწოდებლის კოდექსის ნებისმიერი ხარვეზის ან პოტენციური დარღვევის შესახებ აცნობონ (i) თავიანთ საკონტაქტო პირს „ანადოლუ ეფეს“-ში, ან (ii) ჯგუფის თანამშრომელს ეთიკის საკითხებში (+90 216 578 80 54 ნომერზე ან ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: Groupethics@anadoluefes.com).

ალტერნატიულად, მიმწოდებლებს შეუძლიათ გამოიყენონ საკომუნიკაციო საშუალებები, რომლებიც ჩამოთვლილია მისამართზე: https://www.anadoluefes.com/Upload/Docs/Com

Anadolu Efes employees and third parties (including our suppliers). Our suppliers can confidentially, and if desired, anonymously, raise a concern, or report any violation via telephone, email or internet, 24 hours a day, 7 days a week.

municationChannelsENG.pdf. აღნიშნულ საკომუნიკაციო საშუალებებს მართავს დამოუკიდებელი მესამე პირი და ხელმისაწვდომია „ანადოლუ ეფეს“-ის თანამშრომლებისა და მესამე პირებისთვის (მათ შორის ჩვენი მომწოდებლებისთვის). ჩვენს მომწოდებლებს შეუძლიათ კონფიდენციალურად და სურვილის შემთხვევაში, ანონიმურად გამოთქვან შეშფოთება ან შეატყობინონ ნებისმიერი დარღვევის შესახებ ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტით, კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში..

8 CONTACT and FURTHER INFORMATION

We look forward to working with you. Please contact your Anadolu Efes procurement contact person, should you have any questions with regard to the principles and standards set out in this Supplier Code.

8 საკონტაქტო და სხვა ინფორმაცია

მოხარული ვართ თქვენთან თანამშრომლობით. წინამდებარე მიმწოდებლის კოდექსში მითითებულ პრინციპებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით შეკითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენს „ანადოლუ ეფეს“-ის შესყიდვების საკონტაქტო პირს.

9 VERSION and REVISION DETAILS

9.1 Version 3

- This is Version 3 and it replaces Version 2.

9 ვერსიისა და გადახედვის დეტალები

9.1 ვერსია 3

- მოცემული ვერსია 3 ცვლის ვერსია 2-ს.